საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუთბერიძე ბეჟან დავითის ძე

თუთბერიძე ბეჟან დავითის ძე (დ. 15. X. 1943, სოფ. ფუთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), გეოლოგი. გეოლ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997). 1969 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და იქვე დაიწყო მუშაობა. 1997–2006 იყო თსუ-ის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის გამგე, 2003–05 – გეოლ. ფაკ-ტის დეკანი, 2012-იდან გეოლ. დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

თ-ის შრომები ეხება ვულკანოლოგიის, გეოქიმიის, პეტროლოგიისა და მინერალოგიის საკითხებს. შეისწავლა საქართვ. ნეოგენურანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკ. ჰიდროთერმული მინერალიზაციის პროცესები. ავტორია სახელმძღვანელოსი „მინერალოგია" (თბ., 2010). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: Молодой вулканизм восточной части Джавахетского нагорья, Тб., 1990; Геология и петрология Альпийского позднеорогенного магматизма центральной части Кавказского сегмента, Тб., 2004.